



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სხდომის ჩატარების ადგილი: კახეთი, შატო მუხრანი
სხდომის დაწყების დრო: 12:00**

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ციციხო ცხვედიანი, ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე.

საკითხი 1. ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკონსულტაციო ცენტრ PMCG-ექსპერტების ჩართულობითა და ევროპის საბჭოსა (COE) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადდა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმა მომზადდა. მომზადების ეტაპზე, განხორციელდა გარემოს და ასოციაციის ორგანიზაციული საქმიანობის შეფასება, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც, გამოვლინდა ასოციაციის გამოწვევები და განისაზღვრა სამომავლო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები. ასევე, შემუშავდა 2019-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც განისაზღვრა სტრატეგიული მიზნების შესაბამად განსახორციელებელი აქტივობები.

თავმჯდომარემ აღმასრულებელ მდივანს მიმართა თხოვნით წარედგინა და გაეცნო წევრებისთვის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მიზნები და ძირითადი მიმართულებები.

საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ პრეზენტაციასა და სამოქმედო გეგმას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) დამტკიცდეს ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

(ბ) ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა განთავსდეს საჯაროდ ასოციაციის ვებ-გვერდზე და ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოთ ასოციაციის წევრებს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე